NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.12.16 16:46:47 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 503/2019

ქ.თბილისი

„ 16 “ დეკემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს “Made To Make”-ს** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზაზა აბულაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “საქონელი”– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის კომბინიზონების/სპეცტანსაცმლის (CPV18114000) და სამუშაო ტანსაცმლის აქსესუარების (CPV18140000) მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4898 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარსა და 50 თეთრს**.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა გრანტის - **„საქართველოსა და სომხეთში წვრილფეხა საქონლის ჭირის გამოვლენის, წარმოშობის და გავრცელების კომპლექსური კვლევები“-ს** (PPR) ფარგლებში გამოყოფილი სახსრები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4.4.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად სრული, დადგენილი ხარისხისა და სტანდარტის საქონელი.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. მიმწოდებლემა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება და **დაცლა/დასაწყობება** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე, უფლებამოსილი ხელმომწერი პირები არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები: თენგიზ ჩალიგავა, სალომე ბანძელაძე და დავით კარტოზია.

7.ანგარიშსწორების პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, თანხა ჩაირიცხება ხელშეკრულებაში მითითებულ, მომწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

9.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

9.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

9.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ნაკლი.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასმტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ;

11.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

11.4. თუ ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

11.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ, ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ, ზემოაღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო**	**შ.პ.ს. "Made To Make"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№ 200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 404954377 თბილისი, წერეთლის გამზირი №41. მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. – **MIBGGE22** **GE38PC 011 360 010 003 0518**
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **ზაზა აბულაშვილი**

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1	CHF5A XL TYVEK კომბინიზონი ბიო-ქიმიური დაცვით, თეთრი	ცალი	100	16.50	1650.00
2	CHF5A M TYVEK კომბინიზონი ბიო-ქიმიური დაცვით, თეთრი	ცალი	100	16.50	1650.00
3	CHF5A L TYVEK კომბინიზონი ბიო-ქიმიური დაცვით, თეთრი	ცალი	21	16.50	346.50
4	44303 ქიმიური კომბინიზონი L	ცალი	79	13.00	1027.00
5	W7120V ერთჯერადი კეცვადი რესპირატორი	ცალი	250	0.90	225.00
	ს უ ლ:				4898.50

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო**	**შ.პ.ს. "Made To Make"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№ 200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 404954377 თბილისი, წერეთლის გამზირი №41. მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. – **MIBGGE22** **GE38PC 011 360 010 003 0518**
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **ზაზა აბულაშვილი**

LTD Made To Make

Digitally signed by LTD Made To Make
Date: 2019.12.16 15:32:03 +04'00'

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

ვეტერინარიის დეპარტამენტი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს Made To Make"-ს** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ვეტერინარიის დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო